საქართველოს მთავრობის

დადგენილება

№591 2017 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №506 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2011, 040030000.10.003.016666) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

1. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5	ა) დოკუმენტების გამოფენის მომზადება; ბ) საგამოფენო პავილიონით სარგებლობა:	1 ექსპონატი 1 დღე 1 საათი	5,00 600,00 100,00“.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის მე-12 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12	ორგანიზაციათა/დაწესებულებათა დოკუმენტების დროებითი შენახვა – 1 წლით: ა) მატერიალური სახით; ბ) ელექტრონული სახით (სკანირებული ქაღალდისფუძიანი დოკუმენტი)	1 შესანახი ერთეული (საქმე) 1 ტერაბაიტამდე	2,00 1050,00“.

3. 22-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„22. „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სახელმწიფო პროექტის ფარგლებში, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის ამ დანართის პირველი

პუნქტით განსაზღვრული ნუსხის მე-7 პუნქტის „გ“, „დ“, „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა განხორციელდეს 10 დღის ვადაში. ამ დანართის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნუსხის მე-7 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ცნობების მომზადება-გაცემისათვის ეროვნული არქივის მიერ სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის გაწეული მომსახურების საფასურია 5 ლარი.“.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**